შეზღუდვებიანი დაპროგრამების გამოყენება ბუნებრივი ენის მორფოლოგიის კომპიუტერული მოდელირებისათვის

ჯემალ ანთიძე

შეზღუდვებიანი დაპროგრამების ქვეშ იგულისხმება წესებზე დაფუძნებული დაპროგრამება, სადაც წესებზე დადებულია გარკვეული შეზღუდვები. შეზღუდვები წარმოადგენენ ლოგიკურ გამოსახულებებს, რომლებიც აგებული არიან სიმბოლოთა თვისებებზე. სიმბოლოთა თვისებები და მათი მნიშვნელობები გამოისახებიან თვისებათა სტრუქტურებით. ლოგიკური გამოსახულება იგება თვისებათა სტრუქტურებზე გარკვეული ოპერატო რების გამოყენებით. ბუნებრივი ენის მორფოლოგიური მოდელი ფორმალური გრამატიკით, რომელიც დაფუძნებულია ხომსკის ფორმალურ გრამატიკათა თეორიაზე, სადაც წესებზე დადებულია შეზრუდვები.

ჩვენს მიერ აგებულია პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც მიეწოდება ასეთი ფორმალური გრამატიკით აღწერილი მორფოლოგიური მოდელი სხვა ინფორმაციასთან ერთად და იგი გვაძლევს მორფოლოგიური მოდელის კომპიუტერულ რეალიზაციას.